


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჩაბრებით ბუდთის გაფანა ცუელა უჯადრისდბაჟ უსამაგლესია.

**დაარსებულია 1918 წელს.**

პარასკევი, **22** მაისი, 2015 წელი.

№93 (7738)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@top.ge](mailto:sakresp@top.ge) ვებ გვერდი: [www.sakresp.ge](http://www.sakresp.ge) ფასი 50 თეთრი.

**ვავა მივა და ვავა პორობენკო!**

## პითარს ბოუათა ბანაკი,

ანუ ათა ამგავი უინ უპარბინი და სანადიროდ გამხეული კაღლივით უკრინაუი ნაბულგამბუხუნეზული ნახიონალი „რეფორმატორები“

## შეითსოვთ უფალს, საქართველოსა და მთელ მსოფლიოში სუფავდან სინარული და სიყვარული

**საოკუპაციო ჯარის მიერ საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტები გახშირდა**

სოსო სისკარიშვილი

**კი არ ვეოვოთ, უბრალოდ, ვიყიდვოთ საქართველო**

**სოფლიდან „ჩამოთრეულაბი“ თუ მენტალოზის კრიზისი?!**

საბურთალოსში, ამჟღავნების სახელობის ტაძარში გუშინ საქართველოს პატრიარქმა სადღესასწაულო ლიტურგია ჩაატარა. მსახურების დროს უწმინდესმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და ამჟღავნებისა და ტაძრის დღესასწაული მიულოცა.

უწმინდესის თქმით, უფალი სულიერ სინარულს ანიჭებს ადამიანს. პატრიარქმა წმინდა სახარებიდან ის ადგილი გაიხსენა, სადაც უფლის ამჟღავნებაზე საუბარი და დღესასწაულის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

პატრიარქის თქმით, სახარებაში ნათქვამია, რომ უფალი ადგომის შემდეგ ეცხადებოდა მოციქულებს და ყოველ შეხვედრაზე მიანიჭებდა მათ მშვიდობას.

„მშვიდობა თქვენთანა“ – მიმართავდა მათ უფალი. ეს მშვიდობა გადმოდის დღეს საქართველოზე და მადლობა უფალს მისი დიდი წყალობისთვის, – აღნიშნა უწმინდესმა.

„იმ დროს თითქოს მწუხარება უნდა ყოფილიყო მათთან, რადგან მაცხოვარს დაშორდნენ, მაგრამ მათ ახსოვდათ იესო ქრისტეს სიტყვები „მე თქვენთან ვარ ვიდრე აღსასრულამდე. ეს სინარული გადმოდის თაობიდან თაობამდე. ეს სულიერი სინარული გვატობს ჩვენ. ამდენ განსაცდელს ადამიანი ვერ გაუძლებდა. მადლი ღვთისა და სინარული არის შედეგი სიყვარულისა. თუ სიყვარული არა აქვს ადამიანს, არც სინარული არ ექნება. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ მის წყალობას, მის მოწყალებას, როგორ ეხმარება ადამიანს უფალი. ხშირ შემთხვევაში მწუხარება სინარულად გარდაიქმნება. ჩვენ თაყვანს ვცემთ უფალს, რომელიც გვაძლევს სინარულსა და მადლს“, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა გაიხსენა ამჟღავნების ტაძრის მშენებლობის ისტორიაც და მისი აღმშენებელი მამა ნიკოლოზი, ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი კახაბერი კი, მეორე გამშენებელი თქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

„შევთხოვთ უფალს, არ მოგაკლოთ სინარული და სიყვარული, რომ თქვენს ოჯახებში, საქართველოსა და მთელ მსოფლიოში სუფევდეს სინარული და სიყვარული“, – აღნიშნა პატრიარქმა.

**მინის ყიდვა და უპატრონოდ მიგდება დაუშვებელია!**

**გვიხველის დაუშვებელი მიწების დაბეჭრა?!**

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..**





არის მზა პროექტი



თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანსამშენებელი

რამდენიმე თვის წინათ თბილისის დუბლინელი ექსპერტები სტუმრობდნენ...

საგზაო მოძრაობის სამოქმედო გეგმის შესაქმნელად მერიაში ოთხი თვის წინათ...

მისივე თქმით, 20-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და ექსპერტმა შეიმუშავეს...

გაითვალისწინებს თუ არა დედაქალაქის მერი ქართველი ექსპერტების სტრატეგიას...

სალომე გოგონია

გაგეგმვის საზოგადოებრივი

საოკუპაციო ჯარის მიერ საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტები გახშირდა

ბის დაკავებები, რომელიც ნათლად აჩვენებს ამ რეჟიმის სახეს და სისასტიკეს.

„ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, დაკავებები წინა წლებში ნაკლები არ ყოფილა და დაახლოებით იმდენივე იყო, რამდენიც 2013-2014 წლებში ოფიციალურად ფიქსირდება...

მისივე თქმით, სტატისტიკური სურათის დინამიკა შეიცვალა მას შემდეგ, რაც დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს გამყოფ ხაზზე და გამშვებ პუნქტებზე კონტროლი რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ჩამოართვეს...

„საოკუპაციო ჯარმა ასევე, დაიწყო გამოყოფილი მთავრობის დაკავების გაგდება იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო ე.წ. უნებართვო და უკონტროლო გადაადგილება...

უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებში დაკავებებთან ერთად, ასევე, იყო ადამიანების დაკარგვის შემთხვევები, ზოგჯერ იყო მსხვერპლის სტატუსი...

თამარ ქარაძე

სამეგრელოს მხარე

წინის ქვეშ

ზუგდიდში ქართულ-აფხაზური პრეზიდენტის მომავალზე იხილეს



ლობაში სულ ამ იდეოლოგიის წინის ქვეშ ვიმყოფებითო. ჩვენს საზოგადოებას არ უნდა მოსთხოვო უფრო მეტი პოზიტივი, ვიდრე ახლა აქვსო.

შეხვედრის ერთ-ერთი მომხსენებლის ანა ქოჩუა განმარტებით, მან, როგორც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელმა, იცის, თუ რა ენაზე უნდა ესაუბროს აფხაზებს...

„გულწრფელად ვესალმები იმას, რომ ძალიან ბევრი ორგანიზაცია...

შინ აღარც აფხაზ საზოგადოებასთან იქნება რამე სალაპარაკო და განსახილველი.

თქვენ, ეტყობა, ცუდი გზებით მოხვედით აქამდე. არ ყოფილხართ ყველაზე სტრატეგიულ ადგილას, სადაც გზა და ბალი გავაკეთეთ...

დავით ჯიშკარიანის სიტყვებს, რომ ზუგდიდში რთული ვითარებაა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით და ამ მიმართულებით შესაბამისი პროექტები არ ხორციელდება...

მაია ლურწკაიას განცხადებით, აფხაზებს სხვადასხვა მომსახურების მისაღებად აღარ მოუწევთ თბილისში სიარული, რისთვისაც მოსაზრებულ სოფელ რუხში დიდი საავადმყოფოს მშენებლობა მიმდინარეობს...

თამარ ზანთარია, რაიო „თავისუფლება“

# პაი ჩვენს პატრონს!

**ტოტალური გლობალიზაციის პირობებში ეპოქალური მნიშვნელობის ამოცანაა პიროვნების ინდივიდუალური სახის შენარჩუნება, ეროვნული თვითმყოფადობა. მთლიანობაში კი დასაძლევია სულიერობისა და ჰუმანიზმის საყოველთაო კრიზისი, უკრიტიკო, შაბლონური, კოლექტიური აზროვნება თუ მონურ მიმდინარეობა.**

**ალვერინიო მრსა უცნობა** – ეს სიტყვები არაბთა დაუძლეველი ბატონობისგან შექმნილ იოანე საბანისძეს ეკუთვნის და მე-8 საუკუნეში ითქვა. ისტორიული ავტორების გამო უამრავი ქართველი გარუსდა ჯერ მე-19 და შემდეგ მე-20 საუკუნეში. ყველაზე დიდი სისუსტე, რომელიც ამ პროცესებში გამოიყარა, იყო ქართული ანდაზის – უნახავმა რანახა – გამართლება, უცხოური კულტურის წამხედურობა, უცხო ენისა და ლიტერატურის ასიმილირებულ ლაქივებად გადაქცევა.

ამის მიზეზი ძლიერი დამპყრობლის წინაშე ფარისევლობა, მონობა და მონური კეთილდღეობაა. „მიხედ-მოხედვე, რა ხდება ირგვლივ ოთარ-ბეგ, – ამბობს დედოფალი ზეინაბი ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატში“, – ყველგან მონობა, ტანჯვა, წამება, სიკვდილი, შური, მტრობა, ერთ თავისუფალ კაცს ვერსად ნახავ მონობა, მონობა, მარტოოდენ მონობა, ვით შავ-ბნელი ღამე“.



## დასარჩევნული ადამიანის სულის ტრაპიზმი,

**ანუ სოფლიდან „ჩამოთრეული“ თუ გენგალოვის კრიზისი?!**

რია, „მონტაჟურია“, რომელშიც მთავარია არა ლიტერატურა, არამედ კინო და თეატრი ან, ზოგადად, სახანაობა (შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის უშუალოდ დახმარება, ძირითადად, სახელოვნებო წრეების და არა, ვთქვათ, მეცნიერების მიმართ სანახაობრივ კარნავალური კულტურისკენ სწრაფვითაც იყო განპირობებული).

იქნებ ესეცაა მიზეზი იმისა, რომ საზოგადოების ძირითადი ნაწილი ფორმაზე უფრო აქცენტირებული, ვიდრე – შინაარსზე. ეს ძალიან კარგად ჩანდა სააკაშვილის რეჟიმის დროს: აქცენტირებული იყო ფაზადები, ოღონდ კარგად შეფუთული ყოფილიყო, გარედან თვალის გასახარად, საამებლად და შიგნით რა ხდებოდა ან როგორი ხარისხის ფასად შენდებოდა, ამას არავინ დაგვიდევდათ. დღესაც, წვიმასა და ავდარში, ეროვნული შემართებით ამყავდ, ტყლაშატყლუშით დავაბიჯებთ ნაციონალური ხელისუფლების მიერ დაგებული ფილაქნებზე.

ჩვენი ვითომ დასავლურ-ევროცენტრისტული ორიენტაციაც ფასადურია და მას ევროპულ ღირებულებებთან საერთო ძალიან ცოტა აქვს. მინიმუმ უნდა გავეცეთ ეროვნულ თვითგანდიდებებს, პათეტიკურ პატრიოტიზმს, პოლიტიკოსებმა თავი უნდა დაანებონ ხალხის სახელით მანიპულირებას, წიგნის სიყვარული, წიგნთან ურთიერთობა და, ზოგადად, წიგნიერება უნდა დავიბრუნოთ. ამის შემდეგ დავინყებთ ფიქრს (ფიქრში იბადება ჭეშმარიტება), ამ გზით მივალთ თვითგანმედიდებამდე.

როგორც არაერთხელ თქმულა, სამოქალაქო საზოგადოება რომ ჩამოყალიბდეს, მოქალაქის, მამულიშვილის შეგნებით უნდა მოვევიდეთ საზოგადო საქმეს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს სამშობლო ჩვენი, ჩვენი საპატრონო და მისახედაია. სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი პირდაპირი პასუხია იმი-

სა, რომ საუკუნეების განმავლობაში ვცხოვრობდით მონობაში. ამდენად, უპირველესად, მონური ფსიქოლოგია უნდა დავამარცხოთ, საკუთარ თავში აღვზარდოთ თავისუფლების სიყვარული, რომელიც გულის-ხმობს კანონის საყოველთაო პატივისცემას, წესრიგს, დროის ფასსა და შრომის კულტურას!

შორად ჩვენს თანამედროვე ყოფას უწოდებენ „პროვინციალურს“, ოღონდ ეს ცნება ადამიანის შინაგანი სტატუსის გამოხატულებაა და არა – გეოგრაფიული. სად დაიბადე და ვისი შვილი ხარ? – სწორედ ესაა დედაქალაქის სნობური კულტურისადმი მიკუთვნების მექანიზმი და მას საერთო არაფერი აქვს ჭეშმარიტ ღირებულებასთან.

თუ დღევანდელი კაცობრიობის პროგრესად დემოკრატიული ღირებულებები და, მათ შორის, განსხვავებული აზრის პატივისცემა აღიარებული, რანაირად შეიძლება დემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკურ იდეოლოგიად ადამიანის დაბადების ადგილის თეორია იქცეს (თუმცა, სხვა საქართველო სად არის?!).

**დიას, გონების ატროფია შეიძლება ეწოდოს შეკითხვას: თბილისის მერი აქაური უნდა იყოს თუ, როგორც „სევეტი თბილისელები“ იტყვიან, რაიონიდან „ჩამოთრეული“?** სნობიზმი და პროვინციალიზმი ვლინდება ცხოვრების მიმართ დამოკიდებულებაში. „სოფლელი სოფელში ცხოვრებას არ ნიშნავს, – ეს ადამიანის სულიერი მდგომარეობა უფროა და უგემოვნობასა და უნიგნურობას გულისხმობს, თორემ ყველაზე დიდი ევროპელი ჩარგალში ცხოვრობდა და ლუკა რაზიკაშვილად იცნობდნენ“ (ც. ბუკია).

ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ, ისე, მაინც ცნობისთვის, მე-20 საუკუნეში „ჩამოთრეულები“ იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია – აბაშიდან, მიხეილ ჯავახიშვილი – წერაქვიდან, ნიკო ლორთქიფანიძე – ჩუხუბიდან, დავით კლდიაშვილი – სიმონთიდან, აკაკი შანიძე – ნოლიდან, რევაზ ლალიძე – ბაღდადიდან, ბიძინა კვერნიძე – სიღნაღიდან, ჯანსუღ კახიძე – ობჩიდან, ეროსი მანჯგალაძე – ლანირიდან, სერგო ზაქარაიძე – ზესტაფონიდან, გალაკტიონი – ჭყვიშიდან, გიორგი ლენერი – პატარძელურიდან, ანა კალანდიაძე – ხიდისთავიდან... ამასთანავე: ედუარდ შევარდნიძე – მამათიდან, ბიძინა ივანიშვილი – ჭორვილიდან... საზოგადოებისთვის ოდიოზური ფიგურები ჩიორა თაქთაქიშვილი და ერეკლე (ევო) დვისაძე – სავარდო და სამაისო ქუთაისიდან, ივანე (ვანო) მერაბიშვილი – უდედანი (ადიგენი), დემეტრე (დუტა) სხირტლაძე – თელავიდან...

**სამაბბიძე რეა, თბილისში დაფრთხილდნენ: მიხეილ (მიშა) სააკაშვილი, ნიკოლოზ (ნიკა) რურუა, აკაკი (აკო) მინაშვილი, გიორგი (გოკა) გაბაშვილი, გიორგი (გიგი) უგულავა, გიორგი (გოგა) ნაჩიძე, შურაბე (შურა) ჭიაბერაშვილი, გივი სისხარულიძე, ბიჭოლა, გიგი თევზაძე, კოტე ყუბანეიშვილი, ზაზა ბურჭულაძე... საქართველო არა მხოლოდ კუთხეებადაა დაყოფილი, არამედ – უბნებადაც. თბილისელთა ვერა-ვაკე-საბურთალოს საზღვრებში უფრო ჯდება, გლდანში, ვარკეთილი, სამგორი თუ სანჯონა სოფელია, აბა, რაა!**

როცა ვილაცის „სოფლელიობაზე“ ვსაუბრობთ, ბუნებრივად უპირისპირდება მას „ქალაქისა და ქალაქურობის“ გაგება. ჩვენ ვცხოვრობთ ქალაქურ უდაბნოში, სადაც ტრადიციული ურთიერთობის სიკვდილად ბურ ზონად ვაქციეთ, რეალური ჩავანაცვლეთ ვირტუალურით, შევიქმენით ილუზორულ-ბუტაფორიული მეორე ცხოვრება და ვიქცით ფეისბუქის მონებად!

ქალაქი და ქალაქელობა (სოფლისა და სოფლელიობისგან განსხვავებით) არა მხოლოდ ეკოლოგიურად მონამლულ გარემოს დაუკავშირდა, არამედ ნარჩენებად, გამოუსადეგარ, უსარგებლო სუბსტანციად ქცეულ ადამიანის შინაგან სამყაროსთან ასოცირდა – იმ სამყაროსთან, რომელიც კატასტროფის პირისპირ დგას.

**„ქალაქში ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად დიდის, ორივეს დიდი შარაგზა აქვს“** – ასე ათქმევინა ერთ თავის პერსონაჟს ილია ჭავჭავაძემ 1879 წელს. თუ ამ პერიოდისთვის ქალაქად სიკეთისა და ბოროტების ასპარეზი თითქმის 50/50-ზე მოდიოდა, ახლა ეს თანაფარდობა როგორ მას შტაბს იტევს, ჩემზე უკეთ მოგესხენებათ! ჩვენი აზრით, ადამიანების ასე დაყოფა (სოფლელი და ქალაქელი) სიძულვილით ნასაზრდოები და უკვე დაცარიელებული ადამიანის სულის ტრაგია ზმის მანიშნებელია!

საბა მიტრეველი

### ალიან-ჩალიანი

## თავდასვის მინისტრის კიდევი პრტი მოვალეა

საბარტევილი თავდაცვის მინისტრს თინა ხიდაშელს ამ დროისთვის ოთხი მოადგილე ჰყავს. მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნებული პრემიერი-მინისტრის 4 მაისის ბრძანების თანახმად, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნულია კახა ოქროჯანაშვილი, რომელიც მანამდე მინდა ჯანელიძის მოადგილე იყო.

საყურადღებოა, რომ თინა ხიდაშელმა მოადგილეები 15 მაისს წარადგინა და მათ შორის ოქროჯანაშვილი არ ყოფილა. კერძოდ, ხიდაშელმა დავით ებრაელიძის, ანა დოლიძისა და ბესიკ ლოლაძის წარდგენისას აღნიშნა, რომ კიდევ ორი მოადგილე ეყოლება, თუმცა ისინი ამ დროისთვის უცხოეთში სწავლობენ და საქართველოში დაახლოებით ივნისის ბოლოსთვის დაბრუნდებიან.

კახა ოქროჯანაშვილი თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო და ჯერ რჩება ამ პოსტზე, ვიდრე თავდაცვის მინისტრის კიდევი ორი მოადგილე დაინიშნება. კითხვაზე, რატომ არ წარადგინა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა კახა ოქროჯანაშვილი თავის მოადგილედ, თავდაცვის უწყებაში აცხადებენ, რომ მხოლოდ ახალი მოადგილეების წარდგენა მოხდა.

## მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლები სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეხსნა

საბარტევილი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნუგზარ

გასვიანი მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებთან ერთად რუისი-აგარისა და აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთებზე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

ორგანიზაციის დაფინანსებით, ჩქაროსნულ ავტომობილ-ტრალზე, ამ დროისთვის 2 მონაკვეთის, რუისი-აგარისა და აგარა-ზემო ოსიაურის მშენებლობა მიმდინარეობს. რუისი-აგარის 19-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა წელს დასრულდება.

აგარა-ზემო ოსიაურის 6-კილომეტრიანი მონაკვეთზე კი ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნება.

მათივე ინფორმაციით, მსოფლიო ბანკის მისია საქართველოში უკვე რამდენიმე დღეა იმყოფება და დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად ჩქაროსნულ ავტომობილ-ტრალზე მათ მიერ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ასორციელებს. სამუშაო შესწავლენები კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

ინტერპრესი



შპრბინაში ნაციონალური დესანტის ყოფნა ია-ვარდით მოფენილი არ არის. უკრაინაში განტეგების ვაცს ეძებენ, სააკაშვილის ფაგორიტა ნაწილს კი განტეგების ვაცად ყოფნა არ სურს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე ჯაბა ებანოიძემ უკრაინის იუსტიციის სამინისტროს სარეგისტრაციო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა რამდენიმე დღის წინათ სკანდალურად დატოვა და განმარტავს, რომ მისგან ცდილობდნენ, ერთგვარი ფასადი შეექმნათ, რეალური საქმის გაკეთება კი არ სურდათ.



რეობის, ანუ კორუფციის დაძლევის მიზნით მიიწვია.

ექსპერტის თქმით, უცილობლად, უკრაინაში რეფორმები საჭირო, რადგან აქ ჯერ კიდევ საბჭოური ტიპის სისტემა მოქმედებს, თუმცა, სააკაშვილმა კარგად იცოდა, რომ უკრაინა საქართველო არ იყო და ის, რაც საქართველოში შეიძლება, ავტორიტარული რეჟიმის კუთხით გამყარებულიყო, უკრაინაში ვერ იმუშავებდა. გარდა ამისა, როგორც პოროშენკოს, ისე სააკაშვილს უნდა სცოდნოდათ, რომ უკრაინის მასშტაბი სხვა არის და, საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინაში მოქმედებს რეგიონალიზაციის პრინციპი, ანუ თითოეულ მსხვილ რეგიონს აქვს თავისი დამოუკიდებლობის ხარისხი და, პირობითად, უკრაინა დასავლეთ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ზონებად იყოფა, ხოლო თითოეულ ზონას აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები. ამდენად, ის მეთოდები, რაც საქართველოში ცენტრალიზებული სისტემის ფორმატში იმოქმედებდა, ვერ იმოქმედებდა უკრაინაში.

„საკაშვილმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ მორიგი პოპულისტური ნაბიჯი გადადგა, რა ვქნა, უკრაინაში რეფორმატორები მოვიყვანე, დავეცი, მაგრამ მათ არ მისცეს გაქანება და ისინი უკან ბრუნდებოდნენ. ამით სააკაშვილი მოგებულა. გუშინ გავრცელდა სააკაშვილის ჩანაწერი, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პირდაპირ დაადანაშაულა პოროშენკო და მისი გუნდი. მან თქვა, ზემოდან არ არის შესაბამისი პოლიტიკური ნება და ხელი გაიშალა პოროშენკოსკენ, ვინც მას ნდობა გამოუცხადა. სააკაშვილმა უკრაინული რეფორმები დაიასამარა და ამით უკრაინას მოუსპო ბოლო იმედიც კი, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო პოროშენკო. ბოლოს და ბოლოს, ეფექტის მოლოდინი ეკონომიკაშიც მოქმედებს და, მით უმეტეს, ეფექტის მოლოდინი პოლიტიკაში მნიშვნელოვანია. არ ვიცი, ეს მიზანმიმართულად ხდება თუ უნებლიეთ, მაგრამ სააკაშვილმა კრემლის წესქეცილზე მიუშვა წყალი“.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ჯაბა ებანოიძის თუ ალექსანდრე კვიციანიშვილის მაგალითების განზოგადება არ შეიძლება და ქართველები აქტიურად, ათეულობით მაინც არიან წარმოდგენილი უკრაინის მთავრობაში.

„უკრაინის მთავრობის გადასაწყვეტია, რა სახის რეფორმები გატარდება ამ ქვეყანაში. ეს უზარმაზარი ქვეყანაა და ბევრი სტრუქტურა აქვს, სადაც ზოგან ქართველ რეფორმატორებს თავისუფლება საკმარისად ეძლევათ, ზოგან — არასაკმარისად. საბოლოო ჯამში, უკრაინელებმა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ დონეზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. უზარმაზარი ინერციაა გადასალახნი. თუ იქ ვინმეს რამე შეემთხვა, ნაადრევია განზოგადება.“

კვიციანიშვილს რაც შეეხება, ჯანდაცვა ურთულესი სფეროა, მით უმეტეს, უკრაინაში საბჭოური ჯანდაცვის სისტემაა, არ არის გამოირიცხული, კვიციანიშვილს არ დაუჯერონ და საქმე ის არ წავიდეს, როგორც საქართველო. ეს ცოცხალი და მიმდინარე პროცესია“, — აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

მანანა ნოზაძე

# პითარს ბოუათო ბანაქი,

## ანუ აქა აბაპი უინ უპარბისი და სანადიროდ გაქსეული კაღლივით უკრაინაში ნახულგამყუნაული ნატიონალი „რეფორმატორებისა“

მის მიმართ გამოთქმული მოთხოვნების საპასუხოდ, დავით საყვარელიძემ განაცხადა, რომ პირის მიმართ, რომელმაც მას ქრთამის სახით 10 მილიონი აშშ დოლარი შესთავაზა, უკრაინის გენპროკურატურამ სისხლის სამართლებრივი საქმე აღძრა:

„დაიხ, საქმე აღძრულია. მე გავიფიქრე, რომ ვილაცხა ამომწებს, რამდენად რეალურია, რომ ქართველები უკრაინაში იყიდებიან...“

გახდება თუ არა უკრაინის მაღალი თანამდებობები ხაფანგი ქართველი მაღალჩინოსანებისთვის და უკრაინაში ხელმოცარვის შემდეგ სადა გადასახამს დესანტს მიხეილ სააკაშვილი?!

ექსპერტი, ყოფილი პოლიტიკატიმარი ვახტანგ მაისაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, როგორც ჩანს, სააკაშვილის გუნდს უკვე მოლოდინი გადასასროლად ამზადებენ და ისინი ბოშათა ბანაკებით დადიან აქეთ-იქით, რადგან თავის ქვეყანაში არ ედგომებათ. სავარაუდოდ, ნაციონალების მორიგი მსხვერპლი შეიძლება გახდეს მოლოდინი, მაგრამ მოლოდინში დამკვიდრება მათ გაუჭირდებათ, რადგან ამ ქვეყანაში პროდასავლურ ძალებს მყიფე პოზიციები აქვთ და იქ სააკაშვილს ძლიერია პრორუსული ძალა.

„როგორც ჩანს, ნაციონალებს უკრაინაშიც გაუგეს გემო, მიხვდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე, უკრაინა ბევრად დემოკრატიული სახელმწიფოა, მათ შორის, იმავე იანუკოვიჩის დროსაც კი, უკრაინა დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, ვიდრე სააკაშვილის დროინდელი „დემოკრატია“. ყოფილი ქართველი ჩინოვნიკებმა, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ავტორიტარულ სტილში მართვას, უკრაინაში სრული კრახი განიცადეს.“

მათ შორის, კრახი განიცადა ენ. სატელევიზიო დაპატიმრებების ტენდენციამ, რაც

### ალიან-ჩალიანი

## რის გეგმავა აშშ-ის ახალი ელჩი

საბარმიშვილი აშშ-ის ელჩობის კანდიდატმა იან კელიმ აშშ-ის სენატის საგარეო კომიტეტში გამოსვლისას ის პრიორიტეტები დაასახელა, რომლებზეც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ყურადღებას გაამახვილებს.

როგორც იან კელიმ აღნიშნა, ელჩად დამტკიცების შემთხვევაში აბირებს, დაეხმაროს საქართველოს: 1) ევროატლანტიკური მისწრაფებების რეალიზაციაში და მოუწოდოს ყველა ქართველს, ვისაც ამ მიზნების სჯერა, გაერთიანდეს ქვეყნის წინსვლისთვის; 2) პოლიტიკური პლურალიზმის, ანგარიშგადებული მთავრობის და დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციაში, რათა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში იყოს ყველაზე უფრო თავისუფალი და სამართლიანი საქართველოს ისტორიაში; 3) საგაერო და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში, რათა საქართველო მოახერხოს მომავალზე ფოკუსირება, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, მეთი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, ქვეყნის და რეგიონის უსაფრთხოების გან-

სამტკიცებლად და ვეროაში ინტეგრაციის წარმატებით დასასრულებლად.

ერთ-ერთმა სენატორმა იან კელის საგარეო კომიტეტში სიტყვით გამოსვლისას კითხვა საქართველოში ყოფილი პოლიტიკური ლიდერების სამართლებრივი დევნის შესახებ დაუსვა. კელიმ აღნიშნა, რომ ეს საკითხი, მისი დამტკიცების შემთხვევაში, ყურადღების ქვეშ იქნება.

„ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში, ელჩ ნორლანდს ბევრი სასარგებლო კონსულტაცია ჰქონდა ოფიციალურ პირებთან: ჩვენ ნახავს მათ აღვნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია, არ არსებობდეს სასამართლო სისტემის/ბერკეტის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების ალტერნატივა. ამავე დროს აშშ მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოსთან, რათა ყველა საქმესთან მიმართებაში სასამართლო და მართლმსაჯულების პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა უზრუნველყოს. საქართველომ დიდი ნაბიჯები გადადგა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერებისკენ“, — აღნიშნა კელიმ. იან კელი აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე რიჩარდ ნორლანდს 2015 წლის ზაფხულში შეცვლის.

ინტერპრესი

მსოფლიო კლასიკა

1981 წელს ერთი უცხო მგზავრი ცოლთან ერთად პრაღის ქუჩებში სეინრობდა და უცებ თვალი მოატრანა ჭაბუკის ვისმე, რომელიც ირგვლივ მდებარე სახლებს ხატავდა. მგზავრს ერთ-ერთი ნახატი მოეწონა და ყიდვა გადაწყვიტა.

ფულს რომ აწვდიდა, მან შეამჩნია, რომ ჭაბუკი უხელთათმანებოდა იყო, თუმცა, თერმომეტრი ქუჩაში მინუს ხუთს აჩვენებდა.

– უხელთათმანებოდა რატომ ხარ? – ჰკითხა მან მხატვარს.

– რატომ და, რათა ფანქარი მოხერხებულად მეჭიროს. მეჩვენებდა სიტყვა მოიტანა, ლაპარაკს შეწყვეტენ, და ჭაბუკმა მგზავრს ცოლის პორტრეტის დახატვა შესთავაზა, თანაც უფასოდ.

ცოლის პორტრეტის დამთავრების მოლოდინში მგზავრი უცებ მიხვდა: ის თითქმის ხუთი წუთი ელაპარაკებოდა ჭაბუკს, თუმცა, იმის ენაზე არც ერთი სიტყვა არ იცოდა.

ისინი სათქმელს ერთმანეთს ხელეებით, მიმიკით, ღიმილით აგებინებდნენ – და ურთიერთობის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ უსიტყვოდ იოლად გავიდნენ.

მეგობრება მანამ მერყის კარიბჭესთან მიიყვანა, სადაც ბრმა გლახაკი მოწყალეობას ითხოვდა.

– ეს მთელ ჩვენს ქვეყანაში ყოველის უფრო მრძენი კაცია.

– დიდი ხანია, რაც თვალისჩინდაკარგული ხართ? – ჰკითხა გლახაკს ჰასანმა.

– დაბადებით უსინათლო ვარ, – მიუგო იმან.

– მაინც რამ გაგამდიდრათ სიბრძნით?

– ვერა და ვერ შევეგუე ჩემს სიბრმავეს და ასტრონავტობა ვცადე. რაკილა ცის მოხილვის შესაძლებლობა არა მქონდა, გონების თვალთ უნდა წარმომედგინა განსაკვლავები, მზე, პლანეტები, გალაქტიკა. და ქვეყნის დამდგენის ქმნილების შეცნობის კვალობაზე მივეახლოვე იმ ის სიბრძნეს.

უსანეთში, ქალაქ ოლიტეს სიახლოვეს არის ერთი მანი, სადაც მდებარეობს მღერ დაწერილი პლაკატი ჰკითხა: „სწორედ იმწამს, რაწამსაც სწორ პასუხთ მივაგენი, ყველა კითხვა გამოიცვალა“.

მოდღვარი უბნობს: ჩვენ მუდამ პასუხების ძებნით ვართ დაგულისყურებულნი. ამას რალაც ძალიან მნიშვნელოვან რამედ მივიჩნევთ და აუცილებელი გვგონია ცხოვრების აზრის შესაცნობად.

არადა, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ვიცხოვროთ სრულყოფილად და შინაარსიანად, და დაე თვითონ დრომ გაგვიმხილოს ჩვენი ყოფიერების საიდუმლოებანი. უკეთუ მეტისმეტად ჩავეღრმავდებით აზრის კვლევა-ძიებას, შევინდებთ მოქმედებისა და გამოვლინების საშუალებას არ მივცემთ, თავად კი უუნარონი აღმოვჩნდებით საღეთო ნიშნების წასაკითხავად.

ერთ-ერთ ავსტრალიურ ლეგენდაში მოთხრობილია იმ ბებლი-ჯადოქრის, ანუ გრძნების-მოქმედის ამბავი, რომელსაც თავის სამ დასთან ერთად სეინრობისას გზად გადაეყარა თავისი დროის ყოველის უფრო სახელობიანი მეომარი.

– ამ ლამაზთავან ერთ-ერთის ცოლად შეერთვა მინდა, – თქვა მან.

– ერთს თუ შეერთავ, დანარჩენ ორს სატანჯველში ჩაავდებ. მე ისეთი მოდგმის ტომს ვეძებ, სადაც კაცს ერთბაშად სამი ღის შერთვა შეუძლია, – მიუგო ბებლი-ჯადოქარმა და გაშორდა იქაურობას.

მრავალი წელიწადი იხეტიალა მან მთელ კონტინენტზე, მაგრამ მსგავსი მოდგმის ტომს ვერსად ვერ მიაგნო.

– ერთ-ერთი ჩვენგანი მაინც ეწეოდა მდღს, – თქვა დათავან უმცროსმა, ოდეს ყველანი დაბრუნდნენ და დაიქანცნენ გაუთავებელი ყი-ალისგან.

– ნამდვილად შეეცდი, – თქვა ჯადოქარმა. – მაგრამ ახლა უკვე გვიანია.


და სამივე თავისი და სამ ვეება რიყის კატან-ქვად, ანუ ლოლად აქცია, – რათა სუყოველ იქ გამეღულეს გავყო, რომ ერთის მედნიერება სულაც არ ნიშნავს დანარჩენების ტანჯვას.

ურნალისტმა ვაგნერ კარელიმ ინტერვიუ ჩამოართვა არგენტინელ მწერალს ხორხე ლუის ბორხესს.

მეჩვენებდა მწერალმა სიტყვა ჩამოაგდეს იმ ენაზე, სიტყვებისგან დამოუკიდებლად რომ არსებობს, და კიდევ იმაზე, რომ ადამიანს თავისი მოყვასის გაგების წარმოუდგენელი უნარი აქვს.

– ერთ მაგალითს აწვე მოვიყვან, – თქვა ბორხესმა. და გაუგებარ რამ ენაზე ალაპარაკდა. მეჩვენებდა, ამა, თუ მეტყვი, რა ვისიტყვი.

სანამ კარელი პასუხის თქმას მოასწრებდა, ფოტოგრაფმა, რომელიც იმას ახლდა, თქვა: „მამო ჩვენო“.



# პაულო კოელიო მატყობი

## ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

– საესეებით მართალი ხარ! – შესძახა ბორხესმა. – მე ეს ლოცვა ფინურად წავიკითხე.

მგეზავმა ვინმე ერთი ფრიალ უბრალო რამ ხერხი მოიგონა, რომლის წყალობითაც სპილოს მორჩილებში ყოლას ახერხებდნენ... მიიყვანს სპილოს პატარა ნაშიერს სპლიყვს და ფეხით მაგარ ხეზე მიამაზს.

სპლიყვი ბევრს ცდილობს, მაგრამ ფეხს ვერ ითავისუფლებს. და ნელ-ნელა რა იზრდება, თანდათან ეჩვენება იმ აზრს, რომ ხე ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ის თვითონ.

და თუ უკვე დიდ, არაჩვეულებრივი ძალის მქონე სპილოს თოკით პალოზე დავაბამთ, მუშაობაში ცხოველი აშეგებას და გათავისუფლებას არცკი შეეცდება, რადგან კარგად ახსოვს, რომ სპლიყვობიდან მოვიდებული მრავალგზისმა ცდამ ამაოდ ჩაუარა.

მუსტად ასევე, როგორც სპლიყვს, ჩვენც ფრიალ მყიფე რასმე გვაქვს ფეხები მიშპული. მაგრამ ვინაიდან პატარაობიდანვე მიჩვეულნი ვართ, რომ ეს მყიფე რამ ჩვენზე ძლიერია, უბრალოდ ფეხის აშეგების ცდაც ვერ გავკვიბდავს. არადა, ფიქრდაც არ მოგვდის, რომ ერთადერთი თამამი ნაბიჯიც კი საკმარისი იქნებოდა, რათა მთელი თავისი უსაზღვრო სისრულით მოგვეპოვებინა თავისუფლება.

სავსებით ფუჭი და უაზრობაა იმაზე მსჯელობისა და ახსნა-განმარტების მოსმენა, თუ ვინ არის ღმერთი.

სიტყვები ლამაზად კი უღერს, მაგრამ მეტწილად ამა-ოდ. განა სიყვარულზე შედგენილი მთელი ენციკლოპედიაც რომ შევისწავლოთ, ვითომ გავიგებთ, რა არის სიყვარული?!

მოდღვარი უბნობს: არცვის ჯერხანად არც დაუმტკიცებია და არც უარუყვია ღმერთის არსებობის ფაქტი, არის ამქვეყნად ისეთი რამ, რაც უნდა შემოწმდეს და არა აიხსნას, განიშარტოს.

ეს, მაგალითად, სიყვარულია. ეს ღმერთია, რომელიც აგრეთვე არის სიყვარული. რწმენა – ეს ჯადოსნური რამ გრძნობაა, რომელიც თვალებს უხელს მავშეებს იმ აზრით, რა-ზედაც იესო უბნობდა, როს გვასწავლიდა, მაგათ მავშეებს, ეკუთვნიოთ ცათა შინა სასუფეველი. და ღმერთი მავშეში შესაღწევად თავს კი არა, აუცილებლად გულს იყენებს.

ერთ-ერთ ამატს ხშირად უყვარდა გამეორება: ამატი ყოანი ისე გულმოდგინედ და მალხმალ ლოცულობდა, რომ უკვე მშვიდად ყოფნა შეუძლია, ასაღლეველები არცრა აქვს რა – ყველა ჭირი და განსაცდელი უკან მოითრია. და იმ სიტყვებმა ერთ-ერთი ბრძენის ყურამდეც მიაღწია, რომელი ბრძენიც სვეტის მოხასტერში ბინადრობდა. ნავახმმევი მან მორჩილთ უხმო.

– ალბათ, გაგებული გექნებათ, – მიუთხრო მან იმათ, რომ ამატი ყოანს აღარცრა ცდუნება არა აქვს დასაძლევი. მაგრამ, თუ არ იზრძვის, ისე სული სუსტდება. მოდიო, მევთხოვოთ უფალს, რომ ყოანს ძლიერი რამ ცდუნება მოუვლინოს, და თუ იმას მოერია, კიდევ და კიდევ ახალი ცდუნების მოვლინება შევთხოვოთ. და როს ის კვალად შეეგმის სუყოველ ახალ ცდუნებას, ვილოცოთ, რომ არცროდის

არ მოუხდეს ამ სიტყვების თქმა: „უფალო, მისხენ ამა ემ-მაკათავან“. ვილოცოთ, რომ მუდამ უბნობდეს აგრე: „უფალო, მომეც ღონე ბოროტებთანთა გასაძალიანებლად“.

ურის დღე-ღამეში ისეთი ყამი, როს ძნელი გასარჩე-ვია, რა არის შენ ირგვლივ.

ეს მიმწახრის ყამია. ამ დროს შუქი ხვდება ბინდბუნდს, და არცრა არის მამინ უცილობლად ნათელი ანდა ერთმნიშვნელოვნად ბნელი. მევენი სპირიტუალური ადათ-წესის თანახმად, ამ ყამს პატივს მიაგებენ ვით წმინდას.

კათოლიკური კანონი საღამოს ექვსზე ითხოვს „ავე-მარინას“ წავითხვას. კეჩუას ტომში ერთი ასეთი კანონია: უკეთუ მეგობარს ღლის ბოლოს შეხვდი და მიმწახრამდე შერჩი, ვალდებული ხარ, რომ ხელახლა მიემშვიდობო და საღამო მშვიდობისა უსურვო.

მიმწახრის ყამს პლანეტაც და ადამიანიც განსაცდელშია. ღმერთი, ერთმანეთში ურევს რა ნათელსა და ბნელს, თავს ირწმუნებს, რომ დედამიწა ბრუნვას განაგრობს.

უკეთუ დედამიწა ბნელს არ შეუმინდება, ღამე გაივლის – და აღმობრწყინდება ახალი მზე.

გერმანელი ფილოსოფოსი შოპენჰაუერი (1788-1860) ერთხელ დრუბდენში ქუჩას მიუყვებოდა იმ საკითხებზე ჩაფიქრებული, ბოლო დროს რომ აღელვებდნენ. უეცრად მან ბალი დაინახა და გადაწყვიტა, შევალ, რამდენიმე ხანს ყვავილების ცქერაში გავატარებო.

ვილაც გამვლელობა შეამჩნია, რა უცნაურად იქცეოდა ეს კაცი, და პოლიციელს დაუძახა.

– ვინა ხართ? – ჰკითხა წესრიგის დამცველმა.

– მეც სწორედ მაგის გაგების ვცდილობდი ყვავილების ცქერისას, უკეთუ ჩემს კითხვაზე პასუხის პოვნას შეძლებდით, ძალიან მაღლობელი დაგრჩებოდიო.

ერთმა სიბრძნის მაძებარმა კაცმა მთებში წასვლა მოიპოვნა, რადგან გავეო, ორ წელიწადში ერთხელ იქ ღმერთი გამოჩნდება ხოლმეო.

პირველ წელიწადს ის იმით იკვებებოდა, რასაც მიწა აძლევდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გამოილია ეს მიწის ნაბოძვარი სასმელ-საჭმელი, და სიბრძნის მაძებარმა ისევ ქალაქს მიაშურა.

– ღმერთი უსამართლო ყოფილა! – შეწყვირა მან. – რა, ვერ დამინახა, რამდენი დრო დავყავი იქ, რათა თავისი ხმა გაგონებინა ჩემთვის?! ახლა მომშვიდა და, რა ვქნა, შინ უნდა წავიდე იმისი ხმის გაუგონებლად.

ამ დროს, სად იყო, სად არა, ანგელოზი გაჩნდა და მიუთხრო:

– ღმერთს ძალიან უნდოდა შენთან ლაპარაკი. მთელი ერთი წელიწადი გასვა და გაჭამა. იმედოვნებდა, რომ მომავალი წლის მარაგზე თავად იზრუნებდი. შენ რა, ან რამე დათესე, ან რამე მოიყვანე? უკეთუ ადამიანს იმის თავი არა აქვს, რომ სადაც ცხოვრობს, იქ მოისავლიანოს კიდევ, ის მზად არ არის ღმერთთან სალაპარაკოდ.

მას წინათ ერთ-ერთ ყურნალში ამოვიკითხე: „რა დასამალია, და ხანუაზისად ყველას გვგონებია, რომ ადამიანის თავისუფლება მონობის არჩევამია. მე დღეში რვა საათს ვმუშაობ, ხოლო, თუ დამაწინაურეს, ოცსაც ვიმუშავებ. ახლახან ცოლი მოვიყვანე და ჩემი თავისთვის დრო აღარ მჩრჩება. რადგან ღმერთს ვეძებ, უნდა დავიცვა მარხვა, ვიარო მესაზე, შევასრულო ადათ-წესები...“

ხოლო ის ყველაფერი, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია – სიყვარული, მუშაობა, რწმენა – ბოლოს და ბოლოს, მოურეველი ტვირთი ხდება.

მოდღვარი უბნობს: მხოლოდ სიყვარული გვიხვამიშნებს, გვიშველის გადაჩენაში. რასაც თავისუფლად ვქმნით, მხოლოდ სიყვარული გვახელჩიფებინებს და გვახელკეთილმობინებს.

თუ სიყვარულის თავი არა გვაქვს, დაუყოვნებლივ უნდა გაგჩრდეთ. იესომ აკი მზძანა: უკეთუ გაცთუნებს მარჯვენა თვალი შენი, ამოითხარე და გადაავდე, ვინაიდან გიჯობს, რომ დაკარგო ერთი შენი ასოთავანი, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გვენას“. სასტიკად და მკაცრად უღერს, მაგრამ ეგრეა და ვერაფერსაც ვერ ვიზამთ.

მავანი მეუდაბნოე მთელი წელიწადი მარხულობდა, კვირაში მარტო ერთხელ აღვიძებდა კბილს.

და მხოლოდ ამის შემდეგ სობოვა უფალს, წმინდა წერილის ერთი მუხლის იღუმალი რამ აზრი განმმარტეო. მაგრამ პასუხად ვერა გაიგონა რა.

– დრო ტყუილუბრალოდ დავკარგე, – თქვა თავისთვის მეუდაბნოე. – ამდენი მსხვერპლი გავიღე ზენარსის გულისთვის, იმან კი პასუხიც არ მაღირსა! წავალ, რჯულის მოძღვარს ვნახავ ვისმე და იმას ავახსნევიანებ ამ მუხლის აზრს.

და უცებ საიდანდაც ანგელოზი გაჩნდა. – თორმეტთვანი მარხვით მარტოოდენ ის დაიჭემპარტე, რომ სხვათა უკეთესი ხარ, – მიუთხრო ანგელოზმა, – უფალი კი ყურს არ აპყრობს ამაოდ მასალებელ ამპარტავანთ. ხოლო როს თავმდაბლად გადაწყვიტე, რომ შენივე მოყვასისთვის გეთხოვა შეველა და რჩევა, უფალმა ჩემი თავი გამოგვიგზავნა.

და ანგელოზმა ყოველივე აუხსნა ბერს, როს გაგებაც იმას ეწადა.

(ბაზრკილვა იძნება)



საქართველოს პირველი ეროვნულ-მა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას გახდა. გარდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა, ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნენ უკვე იმხანად და მომავალში ცნობილი ქართველი მეცნიერები: დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ ნათაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა მიქელაძე, ფილიპე გოგიანიშვილი.

საქართველოს მომავალი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთსა და მსოფლიოში. საბჭოთა რუსეთის მთავრობა არც მალავდა თავის მტრულ დამოკიდებულებას ქართული ეროვნული მოძრაობისადმი, ბოლშევიკები რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე უნიტარული სახელმწიფოს შექმნას ესწრაფოდნენ. მათთვის მიუღებელი იყო რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე არა მარტო ეროვნული სახელმწიფოების აღმოცენება, არამედ რუსეთის შემადგენლობაში ეროვნული ავტონომიური ერთეულებისა და ფედერაციული ოლქების შექმნაც კი. სამწუხაროდ პირველი მსოფლიო ომის პირობებში ევროპის დიდი სახელმწიფოები საქართველოს ჯეროვან დახმარებას ვერ უწევდნენ. ეს აშკარად გამოჩნდა 1917 წლის 8 დეკემბერს თბილისში ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, აშშ) დიპლომატთა და სამხედრო სპეციალისტთა ვიზიტის დროს. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე ევროპელმა დიპლომატებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარს ვერ დაუჭერდნენ, ხოლო ოსმალეთის აგრესიის შემთხვევაში ქართველებს ვერც ჯარით, ვერც შეიარაღებითა და ვერც ფულით ვერ დაეხმარებოდნენ.

საბჭოთა რუსეთმა მალე გამოაჩინა ნამდვილი სახე. ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად რუსეთის კავკასიის არმია გაიხრჩნა და უმართავ ძალებად იქცა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, სწორედ ამ სამხედრო ძალით მოეხდინა ამიერკავკასიის ოკუპაცია. 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტზე განლაგებული არმიის ნაწილებმა ფრონტის ხაზი მიატოვეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ახლად შექმნილმა ქართულმა რევოლუციურმა ჯარმა (პირველმა ქართულმა კორპუსმა) და სახალხო გვარდიის ნაწილებმა შეძლეს რუსეთის არმიის შეჩერება. რუსები იძულებული გახდნენ, თბილისის ოკუპაციაზე ხელი აეღოთ და ბაქოსაკენ დაიხიეს.

რუსეთის ვერაგული გეგმები საქართველოს მიმართ მალე სხვა მხრივაც გახდა საცნაური. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა გერმანიის იმპერიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, ოსმალეთი) დადო სეპარატიული ზავი. ზავის პირობების თანახმად რუსეთის არმიას უპირობოდ უნდა დაეტოვებინა ოსმალეთის ოკუპირებული ტერიტორია (ანატოლია). რაც შეეხება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილს (იმუამინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ბათუმის, ყარსის და არტანის ოკრუგებს), რომელიც 1878 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, რუსეთის არმია ასევე ტოვებდა. ამ ოკრუგების მოსახლეობას ოსმალეთთან და რუსეთთან, უპირატესად კი ოსმალეთთან, შეთანხმებით თავად უნდა გაერკვია საკითხი თუ რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა ცხოვრება.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები არ სცნო. იგი ბათუმის, ყარსისა და არტანის ოკრუგებზე იურისდიქციის დათმობას არ აპირებდა. ოსმალეთს ომის გარეშე უნდოდა აღნიშნული ტერიტორიების ხელში ჩაგდება. 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში დაიწყო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. პრაქტიკულად, ოსმალეთი მოლაპარაკების გამართვას არც



# საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს



აპირებდა. ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ის რუსეთის ნაწილია და ამიტომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი უნდა სცნოს. ვითარება დაიძაბა. ამ დროისათვის უკვე თბილისში შეკრებილი იყო ამიერკავკასიის პარლამენტი — სეიმი, რომლის თავმჯდომარედაც კარლს ჩხენკელი იქნა არჩეული. ამიერკავკასიის სეიმმა ოსმალეთთან მოლაპარაკების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. ამის საპასუხოდ ოსმალეთის არმია შეტევაზე გადმოვიდა და 1918 წლის 1 აპრილს ბათუმი დაიკავა. ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოს ოკუპაციაც მოახდინეს. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ამის შემდეგ ოსმალეთს ვეღარ უნდა წამოეყენებინა ის არგუმენტი, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის გაემგზავრა ბათუმში, რომელიც იმხანად უკვე ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ბათუმში, პრაქტიკულად, დელეგაციათა დონეზე ერთადერთი შეხვედრა გაიმართა 1918 წლის 11 მაისს. შემდგომ დღეებში მიმდინარეობდა კერძო შეხვედრები. ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციების შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის იმპერიის წარმომადგენელი გენერალი ოტო ფონ ლოსოვი. ოსმალეთმა ამჯერად ახალი პრეტენზია წამოაყენეს: მართალია, ამჟამად ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების მომენტში იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო, ამიტომ ამიერკავკასიის დელეგაციას არა აქვს უფლება, მოითხოვოს ხელშეკრულების პი-

რობების შეცვლა. უფრო მეტიც, ოსმალეთმა მოთხოვნები კიდევ უფრო დაამძიმეს. ოსმალეთის დელეგაცია ითხოვდა ომის შემთხვევაში ჯარების გადასაცვანად ამიერკავკასიის რკინიგზის თავისუფლად გამოყენების უფლებას. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ოსმალეთის არმია მდინარე ჩოლოქთან იდგა. ოკუპირებული იყო მთელი სამხრეთ საქართველო ბორჯომამდე. ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერებისათვის აუცილებელი სამხედრო ძალა ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს არ გააჩნდათ, უფრო მეტიც აზერბაიჯანი ოსმალეთს აგრესორად არც განიხილავდა.

ბათუმის მოლაპარაკებაზე გაირკვა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკას შინაგანი წინააღმდეგობა ღრნიდა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ქართველები გერმანოფილურ, სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები თურქოფილურ ორიენტაციას აღიარებდნენ. გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანიის იმპერია ოსმალეთის აგრესიისაგან ამიერკავკასიის ფედერაციას ვერ დაიცავდა, ხოლო თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ, მათ უნდა გამოეცხადებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უნდა დაშლილიყო. გენერალი ოტო ფონ ლოსოვი ქართველებს პირდებოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი იშუამდგომლებდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე საქართველოს დაცვის თაობაზე. აკაკი ჩხენკელმა 1918 წლის 12 მაისით დათარიღებულ ბათუმიდან გამოგზავნილ ორ წერილში საქართველოს ეროვნულ საბჭოს შექმნილი ვითარების თაობაზე მოახსენა. იგი ეროვნულ საბჭოს აფრთხილებდა: საქართველოსათვის ოსმალეთთან ომის წარმოება დამღუპველი იყო.

ამასთან ერთად აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს სთავაზობდა გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსის აღიარებას. თბილისში თითქმის ყოველდღე იმართებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები. 1918 წლის 14 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიორგი გვაზავა, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ხომერიკი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე. მონაწილეები სტუმრის სტატუსით სხდომას ესწრებოდნენ შალვა მესხიშვილი, გერონტი ქიქოძე და აკაკი პაპავა. სხდომას თავმჯდომარეობდა გიორგი ლასხიშვილი, მდივნობდა დავით ნახუცრი შვილი. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ გააანალიზა შექმნილი ვითარება და ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ გაუგზავნა შემდეგი მითითებები: 1) ეცნობოს ბათუმის საზავო მოლაპარაკებაზე გერმანიის იმპერიის წარმომადგენელს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, რომ ეროვნული საბჭოს თხოვნაა, გერმანიამ ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს; 2) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, რათა სათანადო ღონისძიებანი გაატაროს ჩრდილო კავკასიაში გერმანიის ჯარების წინსვლის დასაჩქარებლად, რათა შესაძლებელი გახდეს გერმანიის ჯარებთან კავშირის დამყარება; 3) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების საქართველოში ორგანიზებული დაბრუნებას; 4) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, ვიდრე გერმანიიდან ქართველი სამხედრო ტყვეების დაბრუნების საქმე მოგვარდებოდეს, მოხდეს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეების სამხედრო რაზმად ორგანიზება გერმანელი ოფიცრის მეთაურობით, რათა საქმირობის შემთხვევაში გერმანელთა სამხედრო ძალა გამოეყენებულა იქნას საქართველოში შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად.

მოგვიანებით გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შედგენილი რაზმი გერმანელი ოფიცრის მეთაურობით გადაყვანილი იქნა გურუის ტერიტორიაზე, სადგურ ნატანებთან, ხოლო შემდეგ მდინარე ჩოლოქის ნაპირას. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე მდგარმა ოსმალეთის არმიის ნაწილებმა ვერ გაბედეს გერმანიის იმპერიის არმიის ფორმაში გამონყობილი გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შექმნილი სამხედრო დანაყოფის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების დაწყება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გერმანოფილური ორიენტაციის აღიარება შექმნილ ვითარებაში ერთადერთი და სწორი გამოსავალი იყო. ოსმალეთი გერმანიის მოკავშირეს წარმოადგენდა, ამიტომ მას ანგარიში უნდა გაენიხა გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებისათვის. გერმანოფილური ორიენტაციის საქართველოს ოსმალეთის მხრიდან აგრესიული ქმედებების შიში აღარ უნდა ჰქონოდა. სხვა სახელმწიფოების დახმარებით ოსმალეთის საფრთხის განეიტრალება შეუძლებელი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი ასევე გარკვეული საფუძველი ჰქონდა. გერმანიას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციები არ გააჩნდა. მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციის მოპოვებისათვის საქართველო გერმანიისათვის წარმოადგენდა პლაცდარმს. სწორედ აქედან შეიძლებოდა დაეწყო გერმანიის მისი კონკურენტების შევიწროება მახლობელ აღმოსავლეთში. საქართველო მით უფრო ფასობდა გერმანიისათვის, რომ სომხეთს ანგლოფილური, ხოლო აზერბაიჯანს თურქოფილური ორიენტაცია ეკავა. გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი ზრდიდა ისიც, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში თანდათან ძლიერდებოდა ანტირუსული განწყობილება.

პასტანა გურული (დასრული იმეხა)

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სამხრეთის პრესაში:

რუსეთი ანტიდასავლურ პროპაგანდას აქლიერებს

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გვაფრთხილებს რუსული პროპაგანდის გაძლიერების შესახებ საქართველოში. მისი სიტყვებით, სიტუაციაში როდესაც ნატოსა და ევროკავშირში წევრობის პერსპექტივა საქართველოსთვის უახლოეს მომავალში არ გამოიკვეთება, მოსკოვი ცდილობს, პროპაგანდის გზით შეცვალოს საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი. ეს განცხადება პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გააკეთა საქართველოში რუსეთის მიერ ფინანსირებული ახალი ამბების სააგენტოს „თანამგზავრის“ მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით.



„ძირითადი გზავნილი ასეთია: ევროპელებისთვის თქვენ სულ ერთი ხართ, მათ თქვენ მიგატოვებს, არჩევანი არ გაგაჩნიათ, და საქართველოს ევროპული არჩევანი განწირულია“, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა სააგენტო „ასოვიტედ პრესისთვის“ 19 მაისს მიცემულ ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შარშან საქართველოს ექს-პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნეგატიური კომენტარი გაუკეთა საქართველოში რუსეთის „თანამგზავრის“ ტრანსლირების გეგმებს, მოუწოდა ხელისუფლებას, აკრძალონ მისი მუშაობა როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, რომელსაც ხელმძღვანელობს დიმიტრი კისელიძე, ვისაც სააკაშვილი „პუტინის პროპაგანდისტს“ უწოდებს. შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს 2008 წელს რუსეთთან ომის შემდეგ, რუსული ტელეარხები, რომლებსაც მოსკოვი აფინანსებს, გამოირთო საქართველოს საკაბელო მაუწყებლობის ქსელში.

რუსული პროპაგანდის გაძლიერების შესახებ უფრო ადრე, 8 აპრილს, საქართველოს პარლამენტში გამოსვლის დროს განაცხადა მინდია ჯანელიძემ, რომელსაც მაშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობა ეკავა. მისი სიტყვებით იმ პირობებში, როდესაც სამხედრო საფრთხის რისკი რუსეთის მხრიდან მაღალი რჩება, მოსკოვი აგრძელებს ინსტრუმენტარების გამოყენებას, რათა აიძულოს თბილისი, შეცვალოს საგარეო-პოლიტიკური კურსი.

„ყველაზე სწრაფი და ყველაზე პირველი“

იმავთ დროს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ პროპაგანდისტული მუშაობის გარდა, რუსეთი ასევე მზადაა, გამოიყენოს თავისი შეიარაღებული ძალები პოსტსაბჭოთა სივრცეში დაკარგული გავლენის აღდგენისათვის.

„ისინი არიან ყველაზე სწრაფები და ყველაზე პირველები იმაში, რაც შეეხება ტანკების შემოყვანას. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერაზის ნახევარი ცხოვრობს მუდმივი საფრთხის ქვეშ. თუ რომელიმე ამ სუვერენულ ქვეყანაში განედგება არასტაბილური ვითარება, მეზობელი სწრაფად მივა, რათა გადავწყვიტოს პრობლემა კალაშნიკოვის დახმარებით“, - განაცხადა მარგველაშვილმა, რომელმაც მოუწოდა დასავლეთს, „იყვნენ უფრო პრინციპულები“ რუსეთთან დაკავშირებით კრემლის მიერ საქართველოს და უკრაინის ოკუპაციის განხორციელების გამო.

თავის მხრივ, რუსეთი უარყოფს ბრალდებას მეზობელი ქვეყნებისადმი საგარეო-პოლიტიკურ არჩევნებზე გავლენის მცდელობაში. მოსკოვში ამტკიცებენ, რომ რუსეთი პრეტენზიას აცხადებს მხოლოდ იმაზე, რომ ყველა შესაბამისი პროცესი იყოს „ღია“.

„ჩვენ ვაღიარებთ ჩვენი მეზობლების, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უფლებებს, მაგრამ, ამჟამად ჩვენ გავგებით ვეკიდებით სუვერენულ სახელმწიფოებს, ვის უფლებებსაც ვაღიარებთ მრავალვექტორიან საგარეო პოლიტიკაში. მათს კავშირურთიერთობებს ვერობაში, ამერიკაში, სხვა რეგიონებში მოთამაშებთან დაკავშირებით. ერთადერთი, რასაც ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ - ისაა, რომ ეს პროცესები იყოს ღია, არ ჰქონდეთ მათ არანაირი ფარული ჩანაფიქრები, რაღაც მიმალული სქემები, რომ მათ სრულად გაითვალისწინონ რუსეთის ფედერაციის ღია და კანონიერი ეროვნული ინტერესები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ მზად ვართ,

14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
<b>ობიექტი № 23</b>		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		
ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო		
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziები@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისგან, ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადგენას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აგლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადგენას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ქაბურ-დილის თავმართულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ქაბურდილის შემთხვევაში - მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაცია. ზ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამწერარეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5 000 მ <sup>3</sup> /წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	162 ლარი
9	ზიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	16,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შესთანის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	232 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015



	დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	წლის 22 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 22 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 22 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
<b>ობიექტი № 24</b>		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziabi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღისეული სარგებლობის პროექტის მიხედვით; ბ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გალავნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. თეზამის ქვიშა-ხრების საბადო (კატეგორია - C:+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 73 200 მ <sup>3</sup> ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გალავნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	9 815 ლარი
9	ზიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	981,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 163 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 22 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 22 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 22 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
<b>ობიექტი № 25</b>		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

		ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziabi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შევალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელოვნა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელდეს საამისოდ უფლებამოსილი პირი, ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმართულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში - მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაცება; ზ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა განახორციელოს ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვა და დასუფთავება. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ზესტაფონი, თბილისის ქ. №14, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამწარმო დაწინააღმდეგებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 000 მ <sup>3</sup> /წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ზესტაფონი, თბილისის ქ. №14
8	აუქციონის საწყისი ფასი	65 ლარი
9	ზიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	6,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	213 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 22 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 22 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 22 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

© წინ, საქართველო!

ზურა ამონაშვილი: ვეთამაშებით ორგანიზებულ და დისციპლინირებულ გუნდს

საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასის „ალაფის“ ჯგუფურ ეტაპზე სამივე ბრძოლის მოგების შემდეგ, ქართული რაგბის ისტორიაში პირველად მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება და თუ გადამწყვეტ მატჩში კანადის დამარცხებაც მოახერხა, გაისად 12-გუნდა ელიტაში ითამაშებს.



ჯგუფის დასკვნით შეხვედრაში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ პორტუგალია 19:11 დაამარცხეს, რის შემდეგაც გუნდის კაპიტანმა ბადრი ალხაზაშვილმა ჟურნალისტს განუცხადა:

„ფინალში გავლით ბედნიერები ვართ. პორტუგალიამ ძლიერად ითამაშა და დიდი წინააღმდეგობა გაგვინა. მინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადო კარგი და კორექტული თამაშისათვის“.

ამ ინტერვიუს დროს ჯერ არ იყო გარკვეული მეორე ფინალისთვის ვინაობა და, შესაბამისად, შემდეგი კითხვა იყო, ვინ ერჩივნა საქართველოს ნაკრებს მონააღმდეგედ – ტონგა თუ კანადა, რაზეც ალხაზაშვილმა უპასუხა, რომ მონააღმდეგეს მნიშვნელობა არ ჰქონდა: „როდესაც საქართველოს ნაკრები ერთ მუშტად შეკრულია და ბიჭები ერთმანეთის მხარდამხარ დგანან, ისინი ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ შეძლებენ კარგ თამაშს“.

გუნდის მწვრთნელმა ზურა ამონაშვილმა განვლილი თამაშის შეაფასა და მომავალ პერსპექტივებზე და ფინალისთვის მზადების გეგმაზე ისაუბრა:

„შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. უწინარესად, ფინალში გავსვას ჩვენ ბიჭებს და მთელ საქართველოს მივულოცავ. ეს ძალიან, ძალიან სასიხარულოა – აქამდე „ალაფაზე“ მესამე ადგილზე უკეთესი შედეგი არ გვიჩვენებია. ფინალში კანადას ვეთამაშებთ – საკმაოდ ორგანიზებულ და დისციპლინირებულ გუნდს, რომლის ერთი-ერთი ძლიერი მხარე კარგი შერკინებაა. ტურნირზე უკვე გარკვეული დონით შევისწავლეთ მომავალი მონააღმდეგე, ხოლო ახლა უფრო დეტალურად შევისწავლით მეტოქეს. ჩვენი ვიდეოანალიტიკოსი, რომელმაც ტონგასა და კანადის მატჩი გადაიღო, შესაბამის მასალას მოამზადებს. გვინდა ორი სრული დღე ალდგენას დავუთმოთ, ვინაიდან ბოლო 10 დღის განმავლობაში ბიჭებმა 3 მატჩი ითამაშეს. ვფიქრობ, ყველა მოახერხებს მიკროტრაუმების მოშუშებას და შეძლებისდაგვარად, ფინალისთვის მაქსიმალურად ოპტიმალურ ფორმაში ვიქნებით“.

ნალში გავსვით ნამდვილად არ უნდა დავკმაყოფილდეთ, ჩვენი მიზნები გაცილებით მაღალია!

რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, განვმეორდები და ვიტყვი, რომ შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ თამაშის ხარისხით ბოლომდე კმაყოფილი ვერ ვიქნებით. ბევრი შეცდომა დავუშვი. რომ დავაზუსტო – შეტევაში ძალიან ბევრჯერ დავკარგეთ ბურთი. ისიც სათქმელია, რომ გავკვირდები მსაჯთან ადაპტაცია, რამაც წარმოქმნა გარკვეული პრობლემები. თამაშის დაწყებიდან მალევე კომპა მოთამაშემ – გიორგი მელიქიძემ და როლანდ კვაჭაძემ მიკროტრაუმები მიიღეს და ამან გეგმები აგვირია, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ ისინი კარგად არიან.

მინდა მონააღმდეგე შევვარო. მას ჰქონდა ქულის აღების რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, რომლებიც ვერ გამოიყენა, მაგრამ ჩვენ უფრო ბევრჯერ ვიყავით ქულის აღებასთან ახლოს, საიდანაც, სამწუხაროდ, უჭულოდ გამოვედით. რამდენჯერმე სიჩქარის გამო ბურთის შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ.

ფინალში კანადას ვეთამაშებთ – საკმაოდ ორგანიზებულ და დისციპლინირებულ გუნდს, რომლის ერთი-ერთი ძლიერი მხარე კარგი შერკინებაა. ტურნირზე უკვე გარკვეული დონით შევისწავლეთ მომავალი მონააღმდეგე, ხოლო ახლა უფრო დეტალურად შევისწავლით მეტოქეს. ჩვენი ვიდეოანალიტიკოსი, რომელმაც ტონგასა და კანადის მატჩი გადაიღო, შესაბამის მასალას მოამზადებს. გვინდა ორი სრული დღე ალდგენას დავუთმოთ, ვინაიდან ბოლო 10 დღის განმავლობაში ბიჭებმა 3 მატჩი ითამაშეს. ვფიქრობ, ყველა მოახერხებს მიკროტრაუმების მოშუშებას და შეძლებისდაგვარად, ფინალისთვის მაქსიმალურად ოპტიმალურ ფორმაში ვიქნებით“.

მანუარ ბიორბაძე

© ჩოგბურთი

საქართველო მოილიხს და ეპროპისტივის მოეზადაიან

თბილისის კორტებზე დამთავრდა 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობები, რომლებშიც 16-16 გოგო და ბიჭი მონაწილეობდა ოლიმპიური სისტემით. 14-წლამდე გოგონათა ნახევარფინალში ასპარეზობის რეიტინგფაქტორებმა დალოდა ქადარიამ დეა ძამაშვილს მოუგო 6:3, 4:6, 6:2, ხოლო თამარ გაგოშიძემ ია სალუქვაძეს აჯობა 6:3, 4:6, 6:1. გადამწყვეტ პაექრობაში ქადარიამ გაგოშიძე დაამარცხა 5:7, 6:2, 6:4 და ჩემპიონობა მოიპოვა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სალუქვაძემ ძამაშვილს სძლია 6:4, 6:7, 7:5. ბიჭებში: ირაკლი ნურნუშია – ცოტნე ძიმისტიარისვილი 6:3, 7:6, საბა ფურცელაძე – ლაშა-გიორგი კიკვიძე 6:3, 7:6. ფინალი. ფურცელაძე – ნურნუშია 7:5, 6:3, ბრინჯაოსთვის პაექრობაში ძიმისტიარისვილმა კიკვიძეს სძლია – 6:0, 6:3. 16-წლამდე გოგონები. ნახევარფინალი. ელენე მჭედლიძე – მარიამ

ნივნივაძე 6:2, 6:0. ლანა კენჭიაშვილი – ნინო ნახიბიანი 6:1, 6:4. ფინალი. მჭედლიძე – კენჭიაშვილი 6:3, 6:2. ნივნივაძეს, რომელსაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ნახიბიანი არ გამოუცხადდა, ბრინჯაო ერგო. ამ ასაკის ვაჟებში უძლიერესი იყო ნიკოლოზ დავლიანიძე, რომელმაც ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან: ნახევარფინალში დავით ჭელიძეს მოუგო – 6:2, 6:4, ფინალში ვაჟა შუბლაძეს აჯობა – 7:6, 6:4. შუბლაძეს ნახევარფინალში ზუკა ტყემალაძემ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა – 2:6, 3:6, მეორე დავით ჭელიძესაც დანებდა – 1:6, 3:6 და მეოთხე ადგილს დაეპაბუდა. კვარცხლბეზე კი ადგილები ასე განაწილდა: 1. ნიკოლოზ დავლიანიძე, 2. ვაჟა შუბლაძე, 3. დავით ჭელიძე. წლეულს მოზარდ ჩოგბურთელებს ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელით – თანატოლთა შორის ევროპის პირველობა და ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელსაც ივლისის მინორულს თბილისი უმასპინძლებს, ერთი კვირიდან ადრე კი ჩვენებში 14-წლიანების, ხოლო მოსკოვში 16-წლამდეელთა ევროპის პირველობები გაიმართება.



ლაშა დიდიასურბთში: დალიდა ქადარია. ვაჟა დანიელი ფოტო.

© ფეხბურთი

ჯერჯერობით – „ღუბლი“

წარმართებით გრძელდება ტურნის „იუვენტუსის“ რეინვანაციის პროცესი. მასიმილიანო ალეგრის გუნდმა ამასწინა დღეს „სკუდეტოს“ 20-წლიანი პაუზის შემდეგ მოპოვებული იტალიის თასი დაუმატა და შესანიშნავი გან



წვობილებით სვდება სეზონის დამაგვირგინებელ აკორდს – ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს „პარსელონასთან“, რომელიც 6 ივნისს ბერლინში გაიმართება. რომაული სატიტულო ბრძოლა „ლაციოსთან“ სტუმართათვის კატასტროფულად დაიწყო – უკვე მე-4 წუთზე რადუმ თაური დარტყმით დაანინაურა პარტნიორები – 1:0, მაგრამ მალევე შეტევაში ჩართულმა კიელინიმ ქუსლით ეფექტური საპასუხო გოლი გაიტანა, – 1:1, ხოლო დამატებით დროში მინდორზე ლორენცეს ნაცვლად შესულმა მატრიმ მასპინძლები დააშამათა – 2:1. ეს „ბებერი ქალბატონის“ მეათე სათასო ტრიუმფია, რაც სარეკორდოა აპენინებზე. აქამდე „ზებრები“ პირველობას „რომასთან“ ერთად ინანილებდნენ 9-9 გამარჯვებით. სხვათა შორის, წლის „ჰეთ-თრიქით“ დასრულების შანსს მათი მომავალი მეტოქეებიც ინარჩუნებენ. მოგეხსენებათ, კატალონიელებმა ახლახან პრემიერადივიზიონი მოიგეს, ბერლინურ ჯახამდე კი მათ „სამეფო თასის“ ფინალი ელით „ბილბაოსთან“.

გიორგი შოთაძე

© მეორად დაზადაზა

„ვიტა“ ვიზ-ლიგაში სათამაშოდ ეზადაზა

თბილისის საკალათბურთო კლუბი „ვიტა“, რომელიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სულ ახლახანს აღსდგა, ვიზ-ლიგაში თამაშს გეგმავს. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს დედაქალაქს ორგანიზაციის სამუშაო დელეგაცია ესტუმრა.

ლიგის წარმომადგენლები – სპორტული დირექტორი ალექსეი ჩუდინი და გენერალური დირექტორის თანაშემწე ალექსანდრ ფედოტოვი „ვიტას“ პრეზიდენტ თე

მუნებუნი ვართ, პირველივე სეზონში ლირსეული შედეგებისთვის ვიბრძობებით. უახლოესი თვის განმავლობაში კლუბი შემადგენლობის და სამწვრთნელო შტაბის დაკომპლექტებას დაიწყებს. ჯერჯერობით სახელებს ვერ გავამხელ, თუმცა, ბრძოლისუნარიანი კოლექტივი გვეყოლება გამოცდილი ქართველი კალათბურთელებით, ადგილობრივი ნიჭიერი მოთამაშეებით და მაღალი კლასის ლეგიონერებით“, – განაცხადა „ვიტას“



მურ დათიკაშვილს, გენერალურ მენეჯერ ლევან მიქელაძეს, ვიცე-პრეზიდენტ გიორგი მარკოიშვილს და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ კახა შენგელიას შეხვდნენ.

ვიტის დროს ვიზ-ლიგის დელეგაციამ თბილისური კლუბის ინფრასტრუქტურა შეისწავლა და ჯერ ძირითად არენად მონიშნული 9-ათასიანი სპორტის სასახლე მონახულა, შემდეგ კი 2.5-ათასიანი სათადარიგო სარბივლი დაათვალიერა. სტუმართა შეფასებით, ორივე სასახლე ყველა თანამედროვე მოთხოვნას პასუხობს, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ისინი ზაფხულში თბილისში დაგეგმილი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მატჩებს მიიღებენ.

შეგახსენებთ, რომ „ვიტა“ 90-იანები წლების ქართული კალათბურთის ფლაგმანი გახლდათ და ქვეყნის ჩემპიონი ზედიზედ 7-ჯერ გახდა, წლეულს კი გუნდი აღორძინდა და ამბიციური გეგმები აქვს. მათგან უმთავრესი პრესტიჟული ვიზ-ლიგაში თამაშია.

„ჩვენს კლუბს მტკიცედ აქვს გადამწყვეტილი, რომ ისეთ ცნობილ ტურნირში ითამაშოს, როგორც ვიზ-ლიგა. ამ შეჯიბრს ხანგრძლივი პროექტის რანგში განვიხილავთ, რაც ქართული კალათბურთის განვითარების ახალი ეტაპი გახდება და ტურნირის მონაწილე კლუბებთან დაგვაახლოვებს. თუკი ვიზ-ლიგაში მოვხვდებით, დარწ

გენერალურმა მენეჯერმა ლევან მიქელაძემ. ქართველი ქომბატებისთვის იმედისმომცემი კომენტარი გააკეთა ვიზ-ლიგის გენერალურმა დირექტორმა ანდრეი შიროკოვმა: „ქართული კლუბი „ვიტა“ პირველია, რომელმაც ჩვენი ლიგის პოტენციურ ახალწვეულთაგან ოფიციალური განაცხადი შემოიტანა და ეს წინადადება დიდ ყურადღებას იმსახურებს. ტრადიციები, კალათბურთის პოპულარობა საქართველოში, ამბიციები და თბილისური კლუბის სურვილი – პოლიები საკმარისზე მეტია. როგორც ყოველთვის, ვიზ-ლიგაში მდურველთა რიცხვში ძალიან დიდია. განაცხადების შემოტანის ვადა 15 ივნისს იწურება, ახალი სეზონის მონაწილეთა შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება კი, ტრადიციულად, კოლეგიალურად, ლიგის საბჭოზე იქნება მიღებული“.

ცნობისთვის, ვიზ-ლიგის მიმდინარე სეზონში გადამწყვეტი მატჩების დრო სწორედ ახლა დგება. დღეიდან სტარტს ნახევარფინალური სერიები აიღებს, რომლებზეც სრულად რუსული გუნდებთან დაკომპლექტებული: მანუარ მარკოიშვილის ცსკა ლევან ფაცაცის ყოფილი კლუბი, ნიჟნი ნოვგოროდს და უპირისპირდება, „სიმპის“ მეტოქე კი ყუბანის „ლოკომოტივი“ იქნება.

კოზა კოზახიძე

© კალათბურთი

„მეფე“ იწყებს და იბებს

ფაქტობრივად – კლივლენდ კავალიერზი პროგნოზირებადი გამარჯვებით გაიხსნა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალური მატჩების სერია ატლანტა ჰორნეტსთან – 97:89.



„ხარები“ კარგა ხნის განმავლობაში ლირსეულად უმკლავდებოდნენ მრისხანე მეტოქეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც პროესიული კალათბურთის „მეფე“ ლებრონ ჯეიმსი (31 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი) და ჯეიარ სმიტი (28 ქულა) აბობოქრდნენ, შეხვედრის ბედი გადაწყდა.

მეორე ბრძოლას დღესაც ჯორჯიის შტატის დედაქალაქი უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე



რჩეული

# დრო წავიდა — სიყვარული კი არა...

დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში უამრავ სათაყვანებელ პიროვნებათა სამუდამო განსასვენებელ შორის ორი საფლავია, საფლავის ქვებს კი ეპიტაფიები ამშვენებს:

**„არ შეშინდე, დაღმავალ გზით მავალი, სამარეშიც შენი ტრფობით ვინვოდე, დღენი წავლენ, დრო ჩაივლის მრავალი, სიყვარული აგვამაღლებს იცოდე“.**  
ეს ამ ქვეყნიდან ნადრევიდ წასული უნიჭიერესი პოეტის ვერა შუბლაძის საფლავის ეპიტაფიაა, მისივე ლექსიდან აღებული. იგი ორმოცი წლისაც არ გახლდათ, როდესაც მიიზარა დიდუბის მიწამ... ვერა შუბლაძე, ულამაზესი, კდემამოსილი ქალბატონი, რომელიც პოეტთა და მუზად ითვლებოდა. მასთან მეგობრობდნენ დიდი გალაკტიონი, გოგლა, ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, მირანდა გამსახურდია, ნინო ნაკაშიძე, მარკვა ბარათაშვილი. უძღვნიდნენ ლექსებს, ეერთგულდებოდნენ და თვითონაც უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით პასუხობდა მათ. მის ლექსებზე იქმნებოდა სიმღერები და მეტადაც პოპულარულები, ლექსებს უძღვნიდა გალაკტიონს, გოგლას, მირანდას, ნატო ვაჩნაძეს. ყველასათვის ცნობილი ლექსი „სადღაც სოფელში ყმის მურია“ ირაკლი აბაშიძემ სწორედ ქალბატონ ვერას უძღვნა. მისი გარდაცვალების შემდეგ გოგლა ლეონიძე წერდა — მისი

რამდენიმე ლექსი ვიცი ზეპირად, განსაკუთრებით კი მომწონს:

**„დღენი გაქრნენ, აფერადდა წარსული, ნაკვალევი გულში ჩარჩა იარად, შენ რად შევრთი, რად ხარ ფერგადსული, დრო წავიდა — სიყვარული კი არა“.**

ლექსი ჯადოქარსა და სახალხო პოეტს კი, დამერწმუნებით ადვილად არ მოეწონებოდა სხვათა ლექსები თუ იგი გამორჩეული არ იყო. თავადაც გახლდათ ყველასათვის საყვარელი პოეტის კალე ბობოხიძის მუზა და შემდგომ მისი თანამესაყდრე. სწორედ ბატონი კალესი გახლდათ მეორე საფლავი, რომელზეც მათმა უშესანიშნავესმა ასულმა, ცნობილმა მხატვარმა მანანა ბობოხიძემ, როდესაც დედის გარდაცვალებიდან ოცდაათი დღე წლის შემდეგ 1981 წელს მამაც დიდუბის მიწას მიაბარა, მის საფლავის ქვაზე ეპიტაფიად მამის ლექსი მიანერა დედისადმი მიძღვნილი:

**„როგორ შევურიგდე, ზენამ რაც ინება, მსურს შენს სიყვარულში ვიყო ვალმობდილად, მეც სომ საუკუნოდ მელის დაძინება, სული მართლდქმნილი შენსკენ გადმოსრილა“.**

ისინი სიყვარულს უმღეროდნენ და სიყვარულიც დატოვეს ხალხის გულში და როდენ სასიხარულოა, რომ მათმა შვილიშვილმა ვე-



რა ფურცხვანიძემ შეკრიბა და ცნობილი ხელოვნებათმცოდნისა და მუსიკოსის ალექსანდრე ფურცხვანიძის წინასიტყვაობით გამოსცა ვერა შუბლაძის ლექსების რჩეული — სიყვარული საგალობელი, ერთგულეებისა და ზეალმატებული გრძობით განმსჭვალული ლექსების კრებული. მთავარი რედაქტორი შესავალ წარდგინებაში წერს — ეს ხელოვნებაა, რომელზეც იტყვიან — ამაზე კარგიც და ცუდიც არსებობს, მაგრამ ასეთი ხელოვნება იშვიათობაა.

ნაიკითხეთ, თავად დარწმუნდებით ამ შესანიშნავი ლექსების მართლაც იშვიათობაში. აქვე კი გთავაზობთ ლექსებს რჩეულიდან.

მამუკა ვაშაქიძე



**ვირა შუბლაძე და კალე ბობოხიძე**  
**ჩიტუნიას!**  
მეღვნება ნატა ვაჩნაძემ ჩიტუნიაგ, რა კარგი ხარ, რა ნაზი და რა პატარა! ნეტავ ერთხელ, შენთან ერთად, ველ-მინდვრები დამატარა!

**მსურს, რომ ჩემთან იყო მუდამ, რომ არ გექნეს ჩემი რიდი, მოდი, სარკმელს გამოვადებ, მოდი, ჩემთან შემოფრინდი**

**გენგენები, ნუ მიფრინავ უღრან ტყეში და შორს მხარეს, ჩემთან იყავ, ჩემს სარკმელთან იფრთხილავ, გამახარე!**

**ჩიტუნიაგ, რა კარგი ხარ, რა ნაზი და რა პატარა! ნეტავ ერთხელ, შენთან ერთად, ველ-მინდვრები დამატარა...**

### მისი ბარათი

**მასსოვს ალვის ხეები და სოფელი სადმელი, მასსოვს შენი ჩურჩული: — ხვალ საღამოს სად მელი?!**

**მასსოვს ჩემი პასუხი — სიცხადეში, ძილშიაც:**

**— იქ, იმ ალვის ხეებში, იმ ალვის ხის ძირშია..**

**მასსოვს, როგორ შეგაკრთო ფრთებით სიომ ფრთამალმა,**



**ვირა შუბლაძის პორტრეტი მანანა ბობოხიძის ნახატი.**

**სხივში ფრთები ჩახლართა შენმა ოქროს დაღალმა..**

**შენზე ფიქრი დამჩნებდა, ფიქრი მხოლოდ ერთისა, ნეტავ დღეს თუ გახსოვარ, ქალო იმერეთისა?!**

\* \* \*

**შემოგხედავ, გრძობით მიცქერ, მინთებ მაისს, ბიჭო, გულით თუ მენდობი, მითხარ, მაინც რა გრძობა გაქვს დაფარული?**

**ლექსი გხიბლავს თუ ეგ ჩემი სიყვარული?!**

**ნუ აყოვნებ, მითხარ მხნედა, სანამ გინდა გულში მალო? ეგ ფარული შემოსხედავ ლექსის ძალას, თუ სიყვარულს დავაბრალო?!**

### ინფორმაცია

#### მირზა შაჰის მუხას

#### „დემარკის“ პროექტით ალაღვენენ

**მირზა შაჰის ქუჩის განვითარების ესკიზურ პროექტზე თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და შპს „აპოლო გ.ს.“-ს მიერ გამოცხადებულ ერთობლივ საჯარო კონკურსში კომპანია „დემარკის“ პროექტმა გამარჯვდა.**

როგორც მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ნინო ლოლობერიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „დემარკის“ პროექტი II პროექტს შორის, 20-კაციანი ჟიურის მიერ ხმათა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეირჩა.

მისივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებული პროექტის კონცეფცია სწორი და მერიისთვის მისაღებია, ჟიურის მიერ კომპანია რამდენიმე რეკომენდაცია მიეცა, რომლის მიხედვითაც პროექტი გადამუშავდება და თბილისის მთავრობაში დასამტკიცებლად თავიდან შევა.

**რეკლამა**  
**29 3-37-87;**  
**568 82-09-84.**

### ალიან-ჩალიანი

#### რამდენი წლისა უნდა შევიყვანოთ ბავშვი სკოლაში?

საბჭოთა დროს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველი ფსიქოლოგის საკითხებში რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ 8 წელზე ადრე ბავშვი სკოლაში მისასვლელად ცოდაა.

რამაზ საყვარელიძე ესწრებოდა მშობლებისა და განათლების მინისტრის შეხვედრას სამინისტროში.

„ყველა ჩვენგანმა რაღაც ასაკი უნდა გაიაროს. თითოეული ასაკი ჩვენში რაღაცას ტოვებს. ბავშვობამ ადამიანში უნდა დატოვოს თამაში, თავისუფლება. ბებია-ბაბუა ეუბნება ბავშვს, შენ ხარ ჩემი მეფეო. მინიმუმ 6 წლამდე მეფესავით უნდა იყოს ბავშვი, მერე ორი წელი მოსამზადებელია, შემდეგ სასკოლო, ზურგს უკან ხელები და სამხედრო რეჟიმი. შემდეგ ის სამხედრო რეჟიმიც ეხალისება ბავშვებს, მაგრამ დროზე ადრე ცოდაა“, — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრი თამარ სანიკიძე სასკოლო მზობის პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად მშობლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. მშობლებმა შესვედრა უშედეგოდ შეაფასეს. მათი თქმით, მინისტრს არ გუშინებთ არ პქონია. თამარ სანიკიძეს ასევე შესვედნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, დეპუტატები კობა სუბელიანი და სერგო რატიანი. კობა სუბელიანის განცხადებით, დღეებისა და კვირების განსხვავებაზე მინისტრს არ გუშინებთ არ გააჩნია.

სამინისტროსთან მშობელთა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აქცია გამართეს. აქციაზე ასევე იმყოფებოდა დეპუტატი კობა სუბელიანი და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ნიკა მელია. აქციის მონაწილეები სკოლებში იმ ბავშვების დაშვებას ითხოვდნენ, რომლებიც ექვსი წელი პირველ იანვრამდე უსრულდებოდა.

#### აბანოთუბანში ჭრალი აბანოს რეაბილიტაცია მიმდინარეობს


ამ ეტაპზე რესტავრატორები ნაგებობის ყველაზე დაზიანებული ნაწილების — მცირე გუმბათების გამაგრებას ახორციელებენ.

აბანოთუბანში იმყოფებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკა ანთიძე. მან მედიის წარმომადგენლებს სპეციალისტებთან ერთად აუხსნა სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს მცირე გუმბათების ადგილიდან მოხსნის აუცილებლობა, რომელიც სარესტავრაციო პრაქტიკაში აპრობირებული და მიღებული ფორმაა. გამაგრებული და რეაბილიტირებული გუმბათები ადგილზე პირვანდელი სახით აღდგენის შემდეგ დამონტაჟდება.

სოციალურ ქსელში გაავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ ჭრელი აბანოს გუმბათების რესტავრაცია არათავსებადი მეთოდებით მიმდინარეობს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში აცხადებენ, სიმართლეს არ შეესაბამება. სააგენტოში აღნიშნავენ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

ეროვნული სააგენტო მზად არის დაინტერესებულ მხარეებს კიდევ უფრო დეტალურად გააცნოს ჭრელი აბანოს სარეაბილიტაციო პროექტი, რათა ამა თუ იმ პროექტის კრიტიკული შეფასება პროფესიული მსჯელობის ფორმატში განხორციელდეს.

„პროექტი არის ძალიან მაღალკვალიფიციურად შედგენილი. სორციელდება სარესტავრაციო პროექტი. მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობს. რესტავრაცია ჩატარდეს და გუმბათის რესტავრაცია არ მოხდეს, ეს წარმოუდგენელი და ნონსენსია. ჭრელი აბანო მთლიანად 2016 წელს იქნება სრულად რესტავრირებული საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. მოვუწოდებ საზოგადოებას, რომ სანამ რამეს იტყვიან, იქამდე გადაამოწმონ“, — განაცხადა სააგენტოს უფროსმა ნიკოლოზ ანთიძემ.





© ჩვენი კარავალინი

როსტომში ფიზიკოსებს მრავალი წელი ემასოვრებათ ექსპერიმენტი, რომელიც დროსაც ვიქტორ კონდრაშოვის უნარს იკვლევდნენ. კლინიკურმა ფსიქოლოგმა და პიპნოლოგმა „აიფ ნა დონუს“ რედაქციაც გააოცა.

მძსპირების შესახებ

„საბჭო 1980-იან წლებში იყო, — გაგვიზიარეს შთაბეჭდილება ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში. — მიხაილ კრაიზმანი, რომელიც როსტომის უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე პროგრამულ საშუალებათა შექმნის ლაბორატორიას ედგა სათავეში, მეტად გულზიარად ადამიანი იყო. ერთხელ მას როსტომში კაცმა მიმართა, რომელმაც, თავის თავში ექსტრასენსუალური უნარი შენიშნა. მაგალითად, ის ამტკიცებდა, რომ შეუძლია აიძულოს კომპასის ისარი, იტრიალოს, როგორც მას სურს. ამბობდა, რომ შეუძლია აინიოს ტემპერატურა და გავლენაც კი მოახდინოს ტვინის აქტიურობაზე“.

მეცნიერებმა დაინყეს ზოგიერთი ამ მტკიცების შემონახვა.

— იმ მამაკაცს კრაიზმანი და ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა შესთავაზეს, მისი ულიყო ლაბორატორიაში, სადაც შეიძლება მოეწყო მაგნიტური გაზომვები, — უამბებს რედაქციას. მისი მხრიდან მანიპულაცია რომ გამოერიცხათ, სთხოვეს მას გაეხადა ტანთ საბანაო ტრუსებამდე, დაათვალიერეს, ხომ არ აქვს რაიმე პირში... შემოიტანეს ინსტიტუტის კომპასი. მამაკაცი დაიძაბა, განითლდა, შემდეგ კი... მართლაც თავის გარშემო შექმნილი მაგნიტური ველით დაინყო კომპასის ისრის ტრიალი ნებისმიერ მხარეს. შემდეგ აინია თავისი ტემპერატურა 40 გრადუსამდე. შემდეგ კი იგი ნორმამდე დაიბრუნა. მაგრამ უფრო გასაოცარი იყო იმ გამოკვლევის სხვა ნაწილი. იგი მოაწყვეს უკვე სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში — ნეიროკიბერნეტიკისა, ტვინის ენცეფალოგრაფიის (მაშინ ასე ეწოდებოდა) ლაბორატორიაში. მამაკაცმა განაცხადა, რომ კიდევ შეუძლია მოახდინოს თავისი გავლენის ელექტრულ აქტიურობაზე. მას ენცეფალოგრამა გაუკეთეს, შემდეგ კი შესთავაზეს, გაზარდოს ეს აქტიურობა. და... რხევების სიხშირე გაიზარდა! ესე იგი ის მართლაც ახდენდა გავლენას ამ პროცესზე! შემდეგ კი განაცხადა: „მე შემიძლია კიდევ „გამოვროთ“ ტვინი. მეცნიერებს გაეცინათ, მაგრამ ერთი წამის შემდეგ უკვე ხედავდნენ ცხედრის ენცეფალოგრამას — სრულად პირდაპირ ხაზს... რამდენიმე წუთის შემდეგ კი მამაკაცმა „ჩართო“ ტვინი, ენცეფალოგრამამ ნორმალური სახე მიიღო.

ბონების ქაღაზი

მას შემდეგ თავის არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს ვიქტორ კონდრაშოვი, კლინიკური ფსიქოლოგი (წარსულში როსტომის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი), პიპნოლოგი არაერთხელ ავლენდა.

ჩვენც მოვანყვით პატარა ექსპერიმენტი. შევთავაზეთ კონდრაშოვს, ეჩვენებინა თავისი უნარის მცირეოდენი რამ — მაგალითად, შეეცვალა სისხლის წნევა. ის დავთანხმდა. ტონომეტრმა უჩვენა 120 ოთხმოცზე, პულსი — 80 დარტყმა წუთში. „ახლა, გინდათ, პულსი და წნევა აღარ იქნება?“ — გაიღიმა მან. მოიკრიბა ძალები, გვთხოვა ნახევარი წუთი. ტონო-

მეტრი დიდხანს გუგუნებდა, შემდეგ კი მონომეტრზე აინთო „0“ — უქონლობა წნევისაც და პულსისაც... პულსი არ იგრძნობოდა არც მეორე ხელზე. რამდენიმე წუთის შემდეგ მაჩვენებლები ნორმას დაუბრუნდნენ.

ჩვენი საუბარი ფენომენალური უნარების ამოცნობის შესახებ კონდრაშოვთან.

— დღეს ჩემი უნარი ჩემთვის გამოცანა არაა. ვფიქრობ, ახსნა არის ის, რომ ვისწავლე ორგანიზმში მთელი რიგი პროცესების თვითრეგულირება, — ამბობს კონდრაშოვი. გვიხსნის, რომ ადრეული ბავშვობიდან გატაცებული იყო ბიოლოგიით, სამეცნიერო-პოპულარული წიგნებით იოგების შესაძლებლობების, სუნთქვითი გიმნასტიკის შესახებ.

— უკვე 1950-იან წლებში წიგნები ამის შესახებ იყო, — ამბობს იგი.

ჯერ კიდევ სკოლის ასაკში გართობისთვის ვიქტორმა და-

ინოს წნევა (რომ ნორმაში ჰქონდეს იგი), თუ მოახერხებს, დაიყვანოს იგი ნულამდე.

გავიმეორებ ჩემ ნათქვამს, მე მხოლოდ საკუთარ მაგალითზე ვცდილობ, დავადასტურო: ტვინის, ორგანიზმის შესაძლებლობანი უფრო ვრცელია, ვიდრე გვგონია.

— ვიცი, რომ თქვენ რამდენიმე წელია, სწავლობთ ანომალიური უნარების ფენომენს ადამიანებში. ვისმა შესაძლებლობებმა გაგაოცათ განსაკუთრებით?

— უნიკალური ადამიანი იყო ჩვენი თანემემამულე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი. ის იყო, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მემონიკი — ადამიანი, რომელმაც გასაოცრად განავითარა თავისი მეხსიერება. ლარბიანი — გინესის რეკორდების წიგნის ორგანიზაციის რეკორდსმენია. ის საქართველოში დაიბადა. შემდეგ როსტომში გადავიდა საცხოვრებლად. დაამთავრა როსტომის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტს, ზეპირად ახსოვდა (სიტყვასიტყვით — გვერდის ნომერის მითითებით, სადაც ეს იყო დაწერილი) მთელი სისხლის სამართლის კოდექსი. ეს კი ტექსტის 200-ზე მეტი გვერდია.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინაშე ის პირველად შეიყვანეს, როდესაც მას ერთი-მეორის მიყვებით ნაუკითხეს ათასი სიტყვა ათ სხვადასხვა ენაზე. და 960 იქვე გაიმეორა. მეორედ გინესის წიგნში ის შეიყვანეს, როდესაც ორი ათასი სიტყვა ნაუკითხეს. მან ძალიან ცოტა შეცდომა დაუშვა, როდესაც მათ იმეორებდა.

— 30 წლის წინათ, თქვენ როდესაც საზოგადოება „ცოდნისაგან“ კითხულობდით ლექციას, იმეორებდით ზოგიერთ ტრიუკს ვოლფ მესინგისა, რომელიც სხვების „აზრებს“ კითხულობდა...

— მართლაც, თავად მესინგი არ მალავდა: საქმე არის არა აზრების ნაკითხვაში, არამედ უნარში — დაიჭირო სხვა ადამიანის ხელის უმცირესზე უმცირესი მოძრაობა (ის დარბაზში ხელს ჰკიდებდა იმ მაყურებელს, ვისი აზრების ამოცნობაც უნდოდა). ამჟამად რუსეთში ცხოვრობს ადამიანი, რომელიც მესინგს მრავალჯერს გადაჯოჯოგვს. მისი სახელია იური გორნი. ის 70 წელსაა გადაცოლებული. ის არა მხოლოდ კითხულობს აზრებს (სწორედ ეს არ არის სასწაული), მას ფენომენალური მეხსიერება აქვს. მას რატომღაც შეუძლია ნაკითხვა... ხელებით, კანით.

ვიძტორია ბოლოვკო

მძსპირების აზრი

საიდუმლოს ამოცნობა ვირ შვიკელით

არტურ ტამბიევი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ნეიროკიბერნეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი:

— ჩვენ გამოვიკვლიეთ ვიქტორ კონდრაშოვის ჩვენები, უნარი. ექსპერიმენტებში, რომელშიც მე ვეღუბულობდი მონაწილეობას, ის იჩენდა თავის ბულსს. ამოგვეცნო, თუ როგორ აკეთებდა ამას, ჩვენ მაინც ვერ შევძელით... ის ასევე რამდენჯერმე „აიძულებდა“ კომპასის ისარს ემობრავე, თანაც საკმაოდ ძლიერად. მისი მხრიდან რაიმე მანიპულაციის ალბათობა გამოირიცხულია. ის, რომ მან შეძლო, „აიძულებინა“ კომპასის ისარი ეტრიალა, მეტყველებს იმაზე, რომ ის თავის გარშემო ახდენდა საკმაოდ ძლიერი ცვალებადი მაგნიტური ველის გენერირებას, ეს კი ცოცხალ არსებას არ ძალუძს... ასე რომ, შემიძლია ვთქვა ერთი რამ: კონდრაშოვის არაჩვეულებრივი უნარის არსებობაში ჩვენ დაფრწუნდით, მაგრამ ამ საიდუმლოს ამოცნობა ვერ შევძელით.

გოლო - გვირდი!



როსტომელს შეუძლია, გააჩეროს პულსი და „გამოვროთ“ ტვინი

ინიყო მოდუნების ზოგიერთი მეთოდის, საკუთარ თავზე ავტორენტინგის გასინჯვა.

— შემდეგ რაღაც მომენტში უცერად მივხვდი, რომ ჩემი სურვილით შემიძლია ტემპერატურის აწევა ცელსიუსის 38 გრადუსამდე. ამას ვაკეთებდი არაერთხელ, — ილიმის ის. — მივდიოდი სამედიცინო დასთან სკოლაში: რაღაც მაციებს-მეთქი. თუმცა, ტემპერატურა ცელსიუსის 38 გრადუსამდე რომ გაზარდო, საჭიროა 10 წუთი. მაგრამ ხუთი წუთიც, თერმომეტრი რომ ილიის ქვეშ მქონდა, მყოფნიდა, რათა ამენია იგი ცელსიუსის 37,5 გრადუსამდე. სახლში მიშვებდნენ, მე კი სასიეროდ მივდიოდი.

როგორ აღწევს როსტომელი არაჩვეულებრივ ეფექტს? იმისთვის, რომ პულსი გაქრეს, გონებით წარმოსახვით ჭიმავს არტერიებს ხელებზე. ტემპერატურას ამალვებს, თუ წარმოვიდგენთ, თითქოს ხელი ჩავყავით მდულარე წყალში, შემდეგ სითბო „იდევენება“ ორგანიზმში. მაგრამ ამასთან ერთად როსტომელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწავლობს თავის უნიკალურ უნარს მხოლოდ სამეცნიერო მიზნით.

— ჩემს მაგალითზე მე ვიკვლევ, თუ გნებავთ, ორგანიზმის, ტვინის შესაძლებლობებს. ვენევი ტვინის ერთგვარ „პაუერლიფტინგს“, მის ვარჯიშს.

წავიკითხოთ... კანით

— თქვენ გვარწმუნებთ, რომ ეს ყოველივე შეიძლება ვასწავლოთ ველებზე?

— ვფიქრობ, ყველას რომ ასწავლო — ეს შეუძლებელია. საჭიროა წინასწარი განწყობა, მონაცემები. თუ ისინი გაქვს, მათი განვითარება შეიძლება. თუმცა ამისთვის წლობით შრომაა საჭირო. და ძნელია იმის გარანტიის მიცემა, თუ რას მიადევს ადამიანი: ის შეძლებს ოდნავ და-

ყურადღება! იხილეთ დიდ დილოში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავებით. დატოვებული ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შევანილია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

© ცინცხალი ანეკდოტი — მრთი ჩემი ნაცნობი მთლიანად გაკოტრდა — ვერ გაუძლო სახელმწიფოსთან კონკურენციას. — რას საქმიანობდა? — ყაჩაღობდა... \* \* \* \* \* მზამის კაბინეტში პილარი კლინტონი შედის და ხედავს, რომ კედელზე ჩაბეჭდვის სურათი პიკედი.

© კადრი აი ასე მსურვალედ მიესალმნენ ბრიტანელ პრინც ჰარის აბორიგენები მისი უკანასკნელი მოგზაურობის დროს ახალ ზელანდიაში. ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრაზე მისი უდიდებულესობა ჩავიდა გადაადგილების ადგილობრივი საშუალებით — კანოეთი

ავტორთა საჭურავლოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები. **საქართველოს რესპუბლიკა** SAKARTVELOS RESPUBLIKA **მარბლის ძ.** №7 ინდექსი 66434 **გამომცემელი:** შპს „თანადგომბა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ)070.4(479.22) L-323 ISSN 2233-3851 **მთავარი რედაქტორი** ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86 **პასუხისმგებელი რედაქტორები:** გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 54 33-33-24